წერილის ნომერი: **18-01240383174**
თარიღი: **07/02/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01240323221
წერილის თარიღი:	01 თებერვალი, 2024
განმცხადებელი:	დავით ვაშაკიძე
განაცხადის N	AR11007700
მისამართი	ქ. თბილისი, მთაწმინდის ქუჩა, N25
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.15.06.001.051
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ოფისი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის ცვლილება
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს მთაწმინდა 25
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	----------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გენ.გეგმა
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის ცვლილების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი №255 დადგენილების (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ნ“ ქვეპუნქტები.

სამსახურის პოზიცია

ვინაიდან წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, **დაინტერესებული პირი გეგმავს სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას,** მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მას **არ ეკისრება გამწვანების პროექტის წარმოდგენის ვალდებულება.**

ინფორმაციისთვის

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5[1] პუნქტი).

პატივისცემით,

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)